

“დინამო” იბრძვის მედლებისათვის

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 27 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკ მო (მოსკოვი) 4:1 (1:0).

ცსკ მო: რაზინსკი, შჩერბაკოვი, ოლემჩუკი, ბაგრინი, ლინიაევი, დუბინსკი, აპუხტინი, აგაპოვი (დუდა), მამიკინი, სტრეშნი, ბელიაევი.

“დინამო”: ს. კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა (ა. კოტრიკაძე), ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ლოლობერიძე, მესხი.

მსაჯი ნ. კრილოვი (კუიბიშევი).

ეს იყო მეტად პრინციპული, დიდი მნიშვნელობის მქონე მატჩი, რომელიც თბილისელებმა მოიგეს ერთობ დამაჯერებელი ანგარიშით. 3 გოლის განსხვავებით მოგება არმიელთა გუნდისათვის, რომელიც ამ დამარცხებით ფაქტიურად კარგავდა პირველ ხუთეულში გასვლის შანსებს, არ იყო იოლი საქმე, მით უმეტეს, რომ ცსკ-მ ზედიზედ ორი დამარცხება განიცადა წინა შეხვედრებში და, ბუნებრივია, სრულ მაქსიმუმს გამოამყდებდა თბილისელებთან მატჩში.

ცნობილია, რომ ცსკ მო ჩვეულებრივ დაცვითს ვარიანტს მიმართავს მოთამაშეა ასეთი განლაგებით 1+3+3+4. ერთი ფორვარდის უკან დაწევა დიდი დანაკლისია თავდასხმისათვის, ვინაიდან “მინუს 1” შეტევის სისტემატური წარმოებისათვის ძნელი შესავსებია და მისი კომპენსაციისათვის საჭიროა მაღალი ინდივიდუალური კლასის, დიდი ენერჯის მქონე ფეხბურთელი, რომელმაც 90 წუთის განმავლობაში უნდა გადაჭრას მეტად რთული პრობლემა საკუთარი კარის დაცვაში და მოწინააღმდეგის იერიშშიც.

მაგრამ განვლილ მატჩში მოთამაშეთა ასეთი განლაგება ჩვენ ვერ ვნახეთ. პირიქით, მაშინ, როცა არმიელებმა საკმაოდ ხანგრძლივი ხნით აიღეს ხელთ ინიციატივა (პირველ ტაიმში), მათი ერთ-ერთი ნახევარმცველი, კერძოდ, დუბინსკი სისტემატურად მონაწილეობდა საიერიშო ოპერაციებში და დიდ სიძნელებებს ქმნიდა “დინამოს” დაცვის წინაშე.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღინიშნოს, რომ მაყურებლებზე (მათ შორის ზოგიერთ სპეციალისტზე) გაზვიადებული შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრების მეტად ძლიერმა შეტევამ დაახლოებით მე-20 წუთიდან 35-ე წუთამდე და აპუხტინის ძლიერმა დარტყმამ, რომელიც ძელს მოხვდა.

რა თქმა უნდა, ამ პერიოდში არმიელებს გენერალური, მეტად სახიფათო შტურმი ჰქონდათ და აპუხტინის მიერ დარტყმული საჯარიმო ბურთიც რაღაც იღბლად მოხვდა ძელს, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ “დინამოს” მცველებმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს და წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ ამოცანას ამ მძიმე პერიოდში. ცსკ მო – ესაა მეტად ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელსაც ყოველთვის შეუძლია გარდატეხის შექმნა თამაშში, მისი მსვლელობის შეცვლა და ის ფაქტი, რომ თბილისელთა დაცვამ ბოლოს და ბოლოს ისწავლა თამაში ასეთ ძნელ მომენტებში, სასიხარულო და მისასალმებელია. ის, რაც ჩვენს გუნდში წლების მანძილზე აქილევსის ქუსლს წარმოადგენდა, დღეს საიმედო დასაყრდენად იქცა,

ამდენად გუნდის საბრძოლო პოტენციალი ერთ კომპაქტურ ძალად იქცა და სწორედ ამიტომ, რომ მისთვის პანიკურ შიშს აღარ წარმოადგენს მოწინააღმდეგის შეტევა.

მაგალითად, განვლილ თამაშში მოსკოველები დაჟინებით ცდილობდნენ მოემბნათ გზა გამარჯვებისაკენ აპუხტინის საშუალებით, მაგრამ ხოჭოლავა ამ ფლანგზე დიდი ტაქტით იბრძოდა და თუ აპუხტინი მოახერხებდა გასვლას, მას გზას უკეტავდა თორამე, ხოლო ცენტრალურ ზონაში გადმოდიოდნენ ჩოხელი და ზეინკლიშვილი. ასევე ხდებოდა იამანიძის რეიდების დროს, როცა მის ტერიტორიაზე ადგილს დაუყოვნებლივ ავსებდნენ ზეინკლიშვილი ან ლოლობერიძე. ეს ორგანიზებული ურთიერთდაზღვევა დაცვაში საიმედო ზურგი, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თბილისელთა მიერ მოპოვებული გამარჯვება და თვით ანგარიშიც 4:1 სავსებით შეესაბამება ძალთა ლოგიკურ შეფარდებას მინდორზე.

მატჩის დასაწყისი დინამოელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა. შესანიშნავად თამაშობდა სამეული: ლოლობერიძე-იამანიძე-მესხი. ეს იყო გადაუჭრელი პრობლემა სტუმართათვის, რომლებმაც საბოლოოდ მაინც ვერ შეძლეს მისი მოგვარება. იამანიძე და მესხი! მათი ნეიტრალიზება აშკარად აღემატებოდა ცსკ-ს ძალებს და როცა ბოლოს და ბოლოს სტუმრები იძულებული გახდნენ დაცვაში აქცენტი მარჯვენა მხარეს გადაეტანათ, თბილისელებმა გრძელი გადაცემებით თამაში გადაიყვანეს ბარქაიასა და მელაშვილზე და შეტევები დამთავრებულ იქნა მარჯვენა ფრთიდან.

თუ გავყვებით მატჩის ჩანაწერებს, დინამოელთა საერთო უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და ყოველი გატანილი გოლი როგორც ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის, ისე კოლექტიური მოქმედების შედეგს წარმოადგენდა. ასე მაგალითად, პირველი გოლი. ბურთი ჰქონდა ლოლობერიძეს. მის წინაშე კომბინაციის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი იდგა და მან მათგან ყველაზე მწვავე აირჩია – ბურთი გაუგზავნა წინ გასულ იამანიძეს. ამ უკანასკნელმა ზუსტად გადააწოდა კალოევს და ანგარიშიც გაიხსნა – 1:0.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა გაშალეს თამაში, აიღეს ტემპი და მამიკინმა მე-12 წუთზე გაქვითა გოლი – 1:1 (თუმცა თორამეს სულ იოლად შეეძლო თვითონ მიეღო ბურთი).

ორი წუთის შემდეგ იამანიძემ დრიბლინგის მთელი სერია წამოიწყო, მოატყუა აპუხტინი, ლინიაევი, დუდა, შჩერბაკოვი და ცენტრში გადასცა ბურთი კალოევს, რომელმაც მეორე ბურთი გაგზავნა მოსკოველთა კარში – 2:1.

დარჩენილი დროის მანძილზე თამაში მთლიანად დინამოელებს მიჰყავდათ. მალე ბარქაიამ შორიდან მიიღო ლოლობერიძის გადაცემა და სამ მცველთან ბრძოლაში მეტად ლამაზი გოლი გაიტანა, ხოლო 30-ე წუთზე მელაშვილმა რაზინსკისთან შეჯახებისას მოასწრო ბურთის მიღება თავით და ანგარიში გახდა 4:1.

თბილისის “დინამომ” მიაღწია სავსებით დამსახურებულ გამარჯვებას და ღირსეულად იბრძვის საპრიზო მედლებისათვის.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი მოიგეს მოსკოველებმა – 4:2.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 29 ოქტომბერი, 1959 წ.